


საინფორმაციო ბიულეტენი



სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომავლის თაობა“

„რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანთის თვითმმართველობის რესურს-ცენტრის“ საინფორმაციო ბიულეტენი



საანგარიშო პერიოდი, 2014–2015 სასწავლო წელი გაწეული მუშაობის შედეგების მიხედვით ნაყოფიერი გამოდგა თვითმმართველობის რესურს-ცენტრისათვის კერძოდ, სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომავლის თაობის“ ფარგლებში, (რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია PH International, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის დაფინანსებით), ყველა 10 ვე პარტნიორ საჯარო სკოლებში ჩამოყალიბდა სამოქალაქო კლუბები, რომლებიც აქტიურად ეწევიან პროგრამით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებას. გასულ საანგარიშო პერიოდში სამოქალაქო კლუბების მიერ შემუშავდა რამოდენიმე მნიშვნელოვანი საინიციატივო წინადადება, რომლებიც წარადგინეს ადგილობრივი თვითმმართველობის, სკოლის ადმინისტრაციის, განათლების რესურს-ცენტრის წინაშე და მათი მხრიდან მოხდა ამ ინიციატივებზე რეაგირება, რაც გამოიხატა გადაწყვეტილების მიღებაში. ჩატარდა მრავალი საინტერესო აქცია თუ ღონისძიება, ვიზიტები, შეხვედრები საინტერესო პიროვნებებთან. საინფორმაციო ბიულეტენის ამ ნომერში საუბარი გვექნება რამოდენიმე მათგანზე.

„ცხოვრება მავნე ჩვევების გარაშე,“

2015 წლის 13 მაისს სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჯანის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბ "GREEN KLUB"-ის ინიციატივით გაიმართა დისკუსია თემაზე: "ცხოვრება მავნე ჩვევების გარაშე."

დისკუსიას ესწრებოდნენ: სამოქალაქო კლუბის წევრები–9–12 კლასის მოსწავლეები(სულ 24 მოსწავლე), სკოლის დირექცია, მასწავლებლები, 13 მშობელი, სოფლის ექიმი ბატონი ზაურ ახვლედიანი, სოფლის საკრებულოს წარმომადგენელი ნ. გუგავა და სოფლის ახალგაზდობა.



დისკუსიის გამართვამდე კლუბის წევრებმა მოიძიეს ინფორმაციები მავნე ჩვევების შესახებ, გადახედეს სტატისტიკას, დაამზადეს ამ მავნე ჩვევების საწინააღმდეგო ფლიერები და სოფელში გაუშვეს, შეხვედნენ სხვადასხვა ასაკის ადამიანებს, აწარმოეს კვლევა ამ მიმართულებით და დაარიგეს მომზადებული ფლიერები. გააკეთეს მოკვლეული მასალის ანალიზი და გამართეს დისკუსია. ღონისძიებას ესწრებოდა პროგრამის კოორდინატორი ქალბატონი თამუნა ფრუიძე პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ქალბატონი ნანა სოხაძე.

დისკუსია საინტერესოდ წარიმართა, მასში ჩაერთო დამსწრე საზოგადოებაც და საბოლოოდ მიიღეს გადაწყვეტილება: ადამიანები, რომ ვიხსნათ ამ მავნე ჩვევისაგან საჭიროა საზოგადოების უფრო მეტი აქტიურობა. ინფორმაციის მიწოდება, თუ რას იწვევს ეს მავნე ჩვევები და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელედის სასკოლო სამოქალაქო კლუბის წარმატების ისტორია

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ხელედის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბმა „ახალი თაობა“ ინიციატივით მიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს სოფელ ხელედში ტახუ ჩანქსელიანს :

–სოფლის დახმარების პროგრამით გამოყოფილი თანხა მოხმარებოდა სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციას .რომლითაც სარგებლობს არა მარტო სკოლის მოსწავლეები,მასწავლებლები არამედ წანაშისა და იფხალდის სოფლის მცხოვრები.

–ხელედის საჯარო სკოლის დასავლეთით ჩაედინება მდინარე ხელედურა რომელიც ადიდების შემთხვევაში საშიშროებას უქმნის როგორც სოფელს ასევე სკოლას. რომლის შესაჩერებლად აუცილებელია სანაპიროზე ნარგავების გაშენება .ნერგების გამოყოფის შემთხვევაში მის დასარგავად მონაწილეობას სკოლის მოსწავლეები,მასწავლებლები და მშობლები მიიღებენ



სამოქალაქო კლუბმა მიიღო წერილი ბატონ ტახუ ჩანქსელიანისგან,რომ სოფლის პროგრამიდან გამოიყოფა 3000 ლარი რომელიც მოხმარდება სოფელ ხელედს,ძურვარეშსა და ღომკემუს შორის საჭაპანო ხიდის მშენებლობას და 2 კმ გზის რეაბილიტაციას .ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სატყეო მეურნეობის მისამართით გამოსცა განკარგულება ნერგების გამოყოფასა და სკოლის დახმარების გაწევის მიზნით

ხელედიდის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის ლიდერი ეროსი ჩანქსელიანი

ლაჯანის საჯარო სკოლას სპორტული მოედანი ექნება

ცაგერის მუნიციპალიტეტის ლაჯანის თემში არ არსებობს სპორტული მოედანი.საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბმა „GREEN CLUB“-მა თემის პრობლემებზე მუშაობისას პრიორიტეტად ჩათვალა სპორტული მოედნის მშენებლობა და ვინაიდან ლაჯანის საჯარო სკოლას საკმაოდ დიდი ტერიტორია აქვს საკუთრებაში, მიმართა სკოლის ადმინისტრაციას და ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს ლაჯანის თემში დახმარებისათვის.



სკოლის ადმინისტრაციამ სამოქალაქო კლუბის წევრებს დახმარების პირობა მისცათ, შედეგმაც არ დააყოვნა და 30 დეკემბერს კლუბმა მიიღო წერილი სკოლის დირექტორის ხელმოწერით რომ განათლების სამინისტრომ გამოყო სპორტული მოედნის მშენებლობისთვის 63 000 ლარი რომელიც გაზაფხულზე დაიწყება

ვიზიტი ქ.ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტსა და ქუთაისის მე 17 საჯარო

მიმდინარე წლის პირველ მაისს ცაგერის მუნიციპალიტეტის ზუბის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბი. სკოლის დირექტორთან და სამოქალაქო პედაგოგთან ერთად ვიზიტით იმყოფებოდნენ ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში . პროფესორმა მაგული რუხაძემ მოსწავლეებს დაათვალთვალა ეკოლოგიის მუზეუმი და წაიკითხა ლექცია ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით.ამის შემდგომ სამოქალაქო კლუბის წევრები ეწვივნენ ქ.ქუთაისის მე-17 საჯარო სკოლას. პროფესორმა სიმონ ჯანაშიამ წაიკითხა ლექცია საქართველო 1918–1924 წლებში . ქ.ქუთაისის მე-17 სკოლის სამოქალაქო კლუბსა და ზუბის საჯარო– სკოლის სამოქალაქო კლუბს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი

ხოფურის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის ინიციატივით მიმდინარე წლის 5 მაისს ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი ამავე სკოლის კუსდამთავრებულ უნარშეზღუდულ ,თემურ ლიპარტელიანის დასახმარებლად.საქველმოქმედო კონცერტში აქტიურად ჩაერთო სოფლის ახალგაზრდობა პედაგოგები, მშობლები. შემოწირული თანხა ასშვიდი ლარი გადაეცა თემურ ლიპარტელიანს.



„ეს დღე არის ჩემთვის ყველაზე ბედნიერი დღე,თურმე კიდევ ახსოვს ჩემი არსებობა ჩემს ყოფილ სკოლას.დიდი მადლობა ასეთი კეთილი და გულისხმიერი ქმედებისთვის“ განუცხადა სამოქალაქო კლუბის წევრებს თემურმა. ს

აქცია

„ მწვანე თეატრი "

მიმდინარე წლის 21 მაისს ცაგერის მუნიციპალიტეტის ჩხუტელის, ზუბის, ცაგერის და ბარდნალის საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბების



წევრების ინიციატივით დასუფთავდა და ნარჩენებისაგან გაიწმინდა ცაგერის მუნიციპალიტეტის მწვანე თეატრის ტერიტორია .აქციაში მონაწილეობა მიიღო 50 მოსწავლემ . აქციაში მონაწილეობდა პარტნიორი ორგანიზაციის თანამშრომლები და პედაგოგთა ფორუმის რეგიონალური კოორდინატორი ნინო ნემსიწვერიძე

სოფელ ზუბის დასუბთავება გამწვანება

სამოქალაქო კლუბმა „ხვამლმა " საკუთარი ინიციატივით შეფოხა აიღო სოფელ ზუბის მდინარეების ნაპირების ,სოფლის ცენტრის, წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის , თავვერისა და ქვა წითელის ციხე-სიმაგრეების, ტერიტორიის დასუფთავება და გამწვანებაზე.

კლუბმა ითანამშრომლა სოფელ ზუბის საკრებულოს თავმჯდომარესთან ვ. ბენიძესთან დეპუტატ ს. ომანაძესთან და ცაგერის გამგებელ რ. ბენიძესთან. კლუბმა ეკოლოგიური რეალობის შესაცვლელად მოითხოვა სოფელში ნაგვის ურნების დადგმა, რაც პრობლემას რადიკალურად შეცვლის რაიონის გამგებელმა რ. ბენიძემ კლუბის მოთხოვნა დააკმაყოფილა და უახლოეს დროში სოფელში დაიდგმება ნაგვის ურნები

ტრენინგი ცაგერის საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბების წევრებისათვის

მიმდინარე წლის 30 აპრილს ცაგერის განათლების რესურს ცენტრში ჩატარდა სემინარი „ცაგერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბის წევრებისათვის თემაზე "პროფესიის სწორად არჩევა მნიშვნელოვანია მომავლისთვის"(ტრენინგი ამბროლაურის პროფესიული სასწავლებლის დირექტორის მოადგილე ილია ოშხერელი)

სემინარზე მოწვეული იყვნენ მშობლები.ტრენინგის შემდომ გაიმართა საინტერესო დისკუსია რომელშიც აქტიურად ჩაერთვნენ მოსწავლეები ,მშობლები,პედაგოგები

მოსწავლეთა დასმულ კითხვებზე პასუხი გასცეს ბატონებმა ილია ოშხერელმა, განათლების რესურს ცენტრის დირექტორმა ირაკლი სილაგაძემ და ქალბატონმა ნანა სოხაძემ

მადლობის წერილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო „ცეკური“-ს ხელმძღვანელობას

ცაგერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბების სახელით, გვინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადოთ შ.პ.ს. „ცეკურის“ ხელმძღვანელობასა და ყველა მუშაკს, იმ კეთილი ნების გამოხატვისათვის, რასაც ისინი იჩენენ სამოქალაქო კლუბების დახმარებისათვის. მათ თანამონაწილეობის ფორმით არაერთი ინიციატივა თუ მცირე პროექტი აქვთ ცაგერის მუნიციპალიტეტში განხორციელებული სამოქალაქო კლუბებთან ერთად. სულ ახლახანს, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციამ მცირე გრანტების ფარგლებში თანადაფინანსება განახორციელა ლაჯანის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრების მიერ მომზადებული პროექტის–ეზოს კეთილმოწყობა– „ვაჩუქოთ მომავალს ლამაზი გარემო“ პროექტის ფარგლებში „ეზოში მოასფალტა სავალი ბილიკები

აქვე გვინდა მადლიერება გამოვხატოთ რეგიონის ყველა იმ საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და განსაკუთრებით ლაჯანის და ხელედის საჯარო სკოლების ადმინისტრაციას, რომლებიც იჩენენ გულისხმიერებას და მხარში უდგანან საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბებს და თავიანთი ქველ მოქმედებით სტიმულს აძლევენ ახალგაზრდობას.

პატივისცემით რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრი

სოფელ ზუზის დასუფთავების აქცია

სამოქალაქო კლუბმა „ხვამლმა“, საკუთარი ინიციატივით შეფოხა აილო სოფელ ზუზის ტერიტორიის დასუფთავებაზე. კონკრეტულად ნარჩენებისგან გაიწმინდა მდინარეების, სოფლის ცენტრის, წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის, თაკვერის და ქვა წითელი ციხე–სიმაგრეების ტერიტორიები.

კლუბმა ითანამშრომლა სოფელ ზუზის საკრებულოს თავმჯდომარესთან ნ. ბენიძესთან, მაჟორიტარ დეპუტატ ს. ომანაძესთან და ცაგერის გამგებელ რ. ბენიძესთან. კლუბმა ეკოლოგიური რეალობის შესაცვლელად მოითხოვა სოფელში ნაგვის ურნების დადგმა, რაც პრობლემას რადიკალურად მოაგვარებს. მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა რეზო ბენიძემ სამოქალაქო კლუბ „ხვამლის“ მოთხოვნა დააკმაყოფილა და უახლოეს დღეებში სოფელში დაიდგმება ნაგვის ურნები



პუბლიკაცია მომზადდა სამოქალაქო განათლების პროგრამის „ მომავლის თაობა“ ფარგლებში. პროგრამას ანხორციელებს ორგანიზაცია **PH International** აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (**USAID**) დაფინანსებით. პროგრამას მხარს უჭერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ერთპიროვნული პასუხისმგებლობა მოცემულ პუბლიკაციაში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრება „**რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს-ცენტრს**“ და ის არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.